

1934.

# ქართული სკოლა



## №9



# ოქტომბრელი

სოციალ-დემოკრატიული საბავშვო ჟურნალი № 9.

სამთავარი

წელი

1934

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროსა

და განათლების სახ. კომისარიატის ჟურნალი

მცირეწლოვან ბავშვთათვის.

## შინაარსი

	83-
1. აედარი გარეუბანში,—ლექი გ. კახიძისა . . . . .	1
2. დაჰკა ხელი,—ლექი ლ. გეგეჭკორისა . . . . .	2
3. ლეილას ექსკურსია,—მოთხრობა ცკვიტისა . . . . .	2
4. მაჩვი,—მოთხრობა ზორის ჩხეიძისა . . . . .	3
5. მოხუც კოლმეურნის სიმღერა,—ლექი ალ. ხაჩინოელია . . . . .	7
6. გოგილას თითები,—მოთხრობა ლავრენტი კიკინაძისა . . . . .	8
7. შემოდგომა—ლექი ხანდრო ულენტიისა . . . . .	12
8. ყურძნის ბრაღია,—მოთხრობა ქ. საათაშვილისა . . . . .	13
9. დამცვრელი გოგი სოჟელში,—ლექი ვ. შოველისა . . . . .	15
10. მონადირეები,—მოთხრობა მარეხისა . . . . .	15
11. ბეზიას გამხარებლები,—მოთხრობა ლ. გეგეჭკორისა . . . . .	19
12. ოთარის სიხარული,—ლექი ნ. შველიძისა . . . . .	21
13. ყვავილები—ლექი დავით ბერიკაშვილისა . . . . .	22
14. როგორ გადაარჩინა სპილომ თავისი პატრონი ბ. შიტკოვისა . . . . .	22
15. სიმართლის მოყვარული ე. რახბედან თარგმანი შ. თაბუკაშვილისა . . . . .	27
16. აბა თუ იცი რ—ხ-ისა . . . . .	27
17. გამოკერი . . . . .	30
18. ჩენი ჟურნალის მკითხველებს . . . . .	31
18. ყდა და ილუსტრაციები შესრულებულია მხატვ. გ. კახიძის მიერ.	
20. ნოტები თ. შავერვაშვილისა . . . . .	.

პ/მ. რედაქტორი: გიორგი კახიძე.  
„ მდივანი ს. ულენტი.

# ასკარი ვარუშანიძე

როგორ ჭექს,  
როგორ გრუხუნებს,  
ლამის დაინგრეს სახლები!  
ლამის შევიქნე ამ დილით  
უბედურების მნახველი!  
მეხი ეცემა სადღაც შთებს,  
ელევა ანათებს საოცრად...  
ბები შველას სთხოვს ფარულად  
თავის ხატს, თავის სალოცავს.  
ქალაქს უპირებს ჩაყლაპვას  
ძირს დაშვებული ღრუბლები.  
ზეცა შავდება თანდათან,  
ქარი სარგებლობს უფლებით.  
ბინებს აწყდება უხეშად,  
არის კარების ქრიალი.  
ბაღში შხუილად იცვლება  
დიდი ხეების შრიალი.  
შენობებიდან აქა-იქ  
მიწას ასკდება კრამიტი...  
გასაოცარი ქარია,  
გასაოცარი ამინდი!  
როგორ ჭექს,  
როგორ გრუხუნებს,  
ლამის დაინგრეს სახლები!

ლამის შევიქნე ამ დილით  
უბედურების მნახველი!  
წვიმა გვეპყრობა ბოროტად  
მძაფრი ძაღლონის მოკრებით,  
მოდის იმგვარად, თითქოს წყალს  
ზღვიდან გვასხმენ კოკებით.  
ძალა ეძლევა ნიაღვარს.  
ებრძვის ტანმალალ ჩინარებს,  
გარბის ჭურჭებში და ყვირის  
ვით აბეზარი მდინარე.  
ზოგან ჭეებს სტაცებს ქვაფენილს,  
ზოგან სარდაფშიც იჭრება  
და ევლინება უმეცრებს  
ჭვეყნის დაქვევის იჭვებად.  
გარეთ არა ჩანს არავინ,  
ვერც ნახავ კაცის ნაკვალევს,  
მხოლოდ კობის ქვეშ მურიო  
შეშინებული კანკალებს.  
ზის უმეგობროდ, სველდება,  
ტურებს ილოკავს, არ მიდის...  
გასაოცარი ქარია,  
გასაოცარი ამინდი!

გიორგი კაჭახიძე,



1752.





კმარა, ბიჭო გოგი, კმარა  
ცელქობა და ხტუნაობა,  
გვეყო სოფლის ველ-მინდვრებზე  
თამაში და ბუქნაობა.  
ახლა სწავლა რომ დაიწყო,  
შევეჯიბროთ რეზოს, გივის  
და ჩაებათ სოცშეჯიბრში  
სკოლის მთელი კოლექტივი.  
ნუ გაეცდნენთ გაკვეთილებს,  
წელსაც ისევ ვიბეჯითოთ,

ჩამორჩენილ მოწაფეთა  
დახმარება თავზე ვიდოთ.  
მოვინდომოთ, შევიქნებით  
მოწინავე და დამკვრელი,  
ვასახელებთ თავს და სკოლას,  
თანახმა ხარ? დაჰკა ხელი.  
„თანახმა ვარ, — უთხრა გოგიმ, —  
დაჰკა ხელი, ჩემო ქეთო!  
წინ წასულთა რიგში ფხიზლად  
მთელი სკოლა შევაერთოთ.

ლაღო გეგეპკორი.

## დიდას აქსაუსია

ლეილა ხშირად ხედავდა, რომ მისი ძმა ექსკურსიებზე დადიოდა. სკოლის კოლექტივებს ხან ქალაქში მუზეუმში დაჰყავდათ, ხან ქალაქ-გარეთ სოფლებში დადიოდნენ. იმ დღეს ბავშვები სამხეცეში წაიყვანეს. მიშა მეორე დღეს ალტაცებით სულ ლომზე, ვეფხვზე და სპილოზე ლაპარაკობდა.

ლეილა პატარა იყო. იმას დედა გვერდიდან არ იშორებდა. ლეილას ექსკურსია პაპასთან სტუმრად წასვლა იყო, ან ეზოში გამოიყვანდნენ და მზეზე ხუხავდნენ.

მიშიკომ ლეილას ლომის სურათი უჩვენა და უთხრა:

— იცი, ლეილა, ისეთი კარგია, დიდი, ძლიერ დიდი! აი იქით არის, სულ შორს.

ლეილა იღიმება, უხარია, რომ მუზეუმში დიდი ჩიტებიც არიან.

მეორე დილას დედამ საუზმედ კარაქწასმული პური შესთავაზა. ლეილამ ჩამოართვა. ერთ წამს ჩაფიქრდა, თეთრ ქალაღში შეახვია პური და გარეთ გავიდა.

— მუკუტ, მუკუტ!

ზევიდან მეწხოვეს ბიჭი გადმოდგა.

— მოდი, მოდი.



მუკუჩამ შეხვეული რალაც დაინახა და გამოქანდა. ლეილამ ხელი ჩასკიდა, ალაყაფის კარებისაკენ გამოაქანა.

— იცი, ლომი, აი, დიდი ლომი ვნახოთ, წამო. — მიკიჩა, ცოტა გეშინოდა იყოს, გაინახა, უკან ჩამორჩა.

— აი საუზმეც. მიშასაც მიაქვს ხოლმე.

ლეილამ საუზმე გახსნა და ნახევარი პური მოუტეხა. ახლა კი დაიძრა მიკიჩა. მირბიან, მწყობრად მიაბაკუნებენ, ქუჩაში უცებ თეთრი პაწია გაბუქებული ძალლი შეხვდათ. ძალღმა კარაქისა და პურის სუნი აიღო და გიშრის თვალელები ბავშვებს მიაცეცა.

ბავშვები შეკრთნენ. ორივეს ფერი ეცვალა, მოიკუნტნენ, კედელს მიეკვრნენ. პურები ზურგს უკან დამალეს, ხმამაღლა ტირილი მორთეს. პატარა ექსკურსანტებს პირები ფართოდ დაუღიათ, ლაპალუპით ცრემლები ჩამოსდით. ძალლი კი უკანა ფეხებზე წამოცუტკულა, კუდს აქიცინება და მოღრეცილი კისრით ბავშვებს აღერსით მისჩერებია. ნეტა ვინ დაიხსნის განსაცდელისგან ამ პაწია ექსკურსანტებს?

ცკვიბი.

## მარვი

მათე ბაბუამ სიმინდის ყანები შემოიარა. ისამხრა და კოლმეურნეებთან გასწია კრებაზე. კრებაზე გადალაპარაკება და ჩურჩული შეიქნა.

ახლოს რომ მივიდა, ახალგაზრდებმა ალაგი დაუტალეს.

მათე ნელა მივიდა, ხალხის შუაგულში დადგა და ყველას ერთბაშად მიესალმა.

— როგორც გავიგეთ, სიმინდებში ყოფილხარ დღეს. — იკითხა ერთმა დამხვედურთაგანმა. ყველანი მოელოდნენ ზათეს პასუხს. მოხუცი კი არ ჩქარობდა. იგი ჯერ იქვე მდებარე კუნძზე მოხდენილად დაჯდა, შემდეგ გამოიძრო ქამარში გარკობილი, აბრეშუმის ნაჭრებისაგან შეკერილი ქისა და გრძელტარა ყალიონი, გატენა თუთუნით და ქვაზე დადო, კვეს-აბედი მომართა და ტალს ფოლადი ჩამოჰკრა.

კვესმა ქახანი გააღინა სამჯერ და სამჯერვე ნაპერწკლები გაყარა. უეცრად აბედის საამური სუნი დატრიალდა. მათემ აბედი ყალიონს დააადო და ერთი მაგრად მოსწია.

— აი, მათეს დამხედეთ, როგორი კოლმეურნეა, — ჩვენ შეძლებული ცხოვრების დაწყებას ვაპირებთ, ამას კი ჯერ ტალკვესიც ვერ მოუშორებია, თითქოს ჩვენს კოპერატივში ასანთი არ იშოვებოდეს.

— ჩემს კვეს-აბედთან საქმე არა გაქვს, მე ვიცოდე და ჩემმა კვეს-აბედმა. თუ კაი ვაყვაცი ხარ, მუშაობის დაყენებაზე გველაპარაკე.

კოლმეურნეებმა ახალგაზრდისაკენ მიიხედეს. სწორედ ის ახალგაზრდა იყო ზაფხულში ცულლუტობაში შენიშნული და სწორედ მათეს მოუხდა იმისი ნამარგლის ხელახლად გადამარგვლა.

შერცხენილი ახალგაზრდა გაიპარა.

— კაცო, აღარ გვეტყვი ახლა როგორია სიმინდები? — წამოიძახა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— სადაც კარგი მოვლილია, იქ კარგია. არც მოვსწრებივარ, არც სიმინდს ჯერ.

— მაშასადამე, სიმინდები კარგია, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, რადგანაც კარგად იცოდა მათეს ხასიათი: როცა მათეს ეტყოდნენ ან აჩვენებდნენ გლახას, იმაზე იტყოდა — არააო, საშუალოზე — არ ვარგაო, კარგზე — არა უშავს რაო და საუკეთესოზე — კარგიაო.

— კარგი ჯერ შორსაა. კარგი ისაა, როცა დროზე ჩააბარებ სახელმწიფოს და ბელელს კარგად დაბარავ. რა გითხრათ, მეზობლებო, ღრუბელივით სიმინდია და ზორბად ჩატარობელი. მაგრამ...

— რას ნიშნავს მაგრამ! შენ ხომ კარგი ამბავი ისე არ უნდა თქვა, რომ ზედ მწარეც არ დააყოლო.

— რას ნიშნავს და მოსაველზე ხელს აგვალებებს ის წყეული, კლდის პირის სიმინდებზე მაინც რომ ახლავე ავილოთ ხელი, ისა სჯობს. მერე და ისეთი ტარობია, თითოში ერთი დღის საგნალი გამოვა.

— რაა ასეთი საშიში? — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— რაა და მაჩვია. სიმინდებში კვალი ენახე და ის წყეული მხოლოდ დახამსილებას მოელის. დახამსილებასაც სულ ხუთი დღე აღარ უნდა. შემოიპარება ღამით და მთელ ზაფხულში ასი კაცის ნაკეთებს ერთ ღამეს ააოხრებს.

ამიტომ საჭიროა, ამხანაგებო, გავუდარაჯდეთ იმ წყეულს და დროზე მოვაშორეთ ჩვენს ნაამაგარ ყანებს. მათეს ყველა დაეთანხმა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კოლმეურნეები დაიშალნენ.

## II

მდინარის პირად სიმინდების მახლობლად ვეებერთელა კლდეები გადავლილია ჯონჯოლის ბუჩქებით.

კლდის ნაპრალეებში სოროები გაუკეთებიათ ეშმაკობაში განთქმულ ქათმის ქურდ მელიებსა და ღორმუცელა მაჩვენებს. აგერ, დედამარეს ერთი წყვილი გოჭალია გამოუყვანია მზეზე. ეთამაშებიან ბუხებს და ქვებიდან ქვებზე ხტებიან. დედამაჩვი ფერდელა ბურვაკივით გაიშხლართა ჩრდილში, დინგი ჩალებში ჩაარგო და აქსინდა. ცელქი გოჭალიები დედასთან მიგოგდნენ, ძუძუებს დაეკიდნენ და ხარბად დაიწყეს წოვა.

დედა ხანდახან გადმოხედავდა შვილებს, როცა რომელიმე თავის ალმას კბილს ძუძუებში ჩაარტობდა, ფეხს გამოჰკრავდა და ქვებზე გადაკოტრიალებდა დამნაშავეს.

ასე ინებივრეს სალამომდის, სანამ ნიაგმა არ დაქროლა და მადის აღმძვრელი სიმინდის სუნი არ მოჰფინა არემარეს.

უეცრად მაჩვი წამოიჭრა, პიტალო კლდის წვერზე შეფორთხდა, თავი მაღლა ასწია და მოისუნსულა. გადაწყვიტა, დაღამებულში გოჭალიებით გასულიყო სიმინდებში. უეცრად რაღაც ხმაური მოესმა. ჩაიხედა კლდის ძირისაკენ და რას ხედავს: მდინარის პირიდან კლდეებისაკენ მოდიან ადამიანის „გოჭალიები“, აცვიან თეთრი ხალათები, ლურჯი მოკლე შარვლები და ყელზედაც ონტკოფას ბუშტებივით წითელი სახეეები ახვევიათ. მაჩვმა ისინი ვერ დათვალა, რადგანაც თვლა არ ემარჯვებოდა.



ეს ადამიანის „გოჭალიები“ იყო, მათეს შვილი-შვილი პიონერი სა-  
შიკო თავის ამხანაგებით.

პიონერებმა კლდეზე წამოსკუბებულ მაჩვს თვალი შეასწრეს. მაჩვმა  
დაიღრინა და კლდეზე გადაგორდა. სოროს პირს მისი გოჭალიები განა-  
ბულეები მიწოლილიყენენ და ძლივს სუნთქავენ. დედამ ისინი წამორე-  
კა და სოროში შეათრია, ჩაგებულ ჩალებში ჩაშალა, თვითონაც ზევიდან  
გადაეფარა და ყური დაუგდო.

გარკვევით ესმოდა მაჩვს ადამიანის „გოჭალიების“ ყვირილი.

— ეს კარგი იყო, შვილებო, არ გადაგვკიდებოდენ ეს წყეულები! —  
ჩაიღრინა მაჩვმა შვილების გასაგონად, რომლებიც შიშისაგან შეცივ-  
ნულნი დედას ეხუტებოდენ.



— ვინ, დედა? — ჩაიჭყიელა ერთმა გოჭალიამ და შიშით ისევ გა-  
ნაბა სული.

— ვინ და, აი, ის ადამიანის გოჭალიები, კლდის წვერზე რომ დგა-  
ნან და ყვირიან.

ხმაურობა მიწყდა. გოჭალიები გამოძვრენ ჩალებიდან და ჯერ კი-  
დეც შიშისაგან გულმობრუნებული დედის გარშემო დაფორთხავდნენ.

ამ დროს საშა თავისი ამხანაგებით სოფლისაკენ გარბოდა, რაღა ეც-  
ნობებიათ ბაბუა მათესათვის მაჩვის სოროს აღმოჩენა.

### III

ლამდებოდა. მათემ გადაიკიდა თავისი ძველი ბერდენა, ვაზნები ჩო-  
ხის საჭილეში ჩაიწყო, ერთ-ორ მეზობელს გადასძახა მაჩვზე სანადიროდ  
მივდივარო და ყალიონის წევით გზას გაუდგა.

ვახშმობისას მთვარე ჩავიდა. მათე საზვინეზე შევიდა და ისე არზეი-  
ნად მოეწყო ხის ბორჯღლებში, როგორც თავის ტახტზე. თვალის მოტყუე-  
ბაც შეეძლო. ხანდახან კი ისეთ ქაჩანსა და ყვირილს ატეხდა, რომ კაცს  
ეგონებოდა მაჩვებს კი არა, დათევებს აფრთხოზსო.

დედამიწვემა გაიგონა ყვირილ-ქაქანი. არ შეუშინდა, თავის გოჭალზე  
ბიანად გამოცოცდა და სიმინდებში გაბოხდა.

ერთხელ მათე ძირს ჩამოვიდა. სიმინდებში გავლაც უნდოდა. უნდოდა, უნდოდა  
ლამე ისე ბნელი იყო, რომ ვერ შეძლო. თანაც თვალს აკლდა. ისევე ნა-  
ზვინეზე შეცოცდა და ქაქანი განავარძო. გათენებისას კი თავი მიღვა და  
მიეძინა.

მათეს ჯერ კიდევ ეძინა, რომ პიონერები საშას მეთაურობით წალდე-  
ბით შეიარაღებულნი შემოვიდნენ სიმინდებში.

ჩატარებული სიმინდი მაჩეს ჩაეჭოლა და ტაროები გაეჩიჩქა.

— დილა მშვიდობისა, ბაბუა მათე!

მიესალმენ ყიყინით გამოღვიძებულ მათეს პიონერები.

— გაიზარდეთ, შვილებო!

მიუგო მათემ და ნელა ჩამოცოცდა საზვინიდან, თანაც ბერდანიდან  
ვაზნა ამოიღო და ისევ საჭილეში ჩაირჭო.

— ბაბუა, წუხელის ხომ არ გწვევიან სტუმრები? — იკითხა ეშმაკუ-  
რად საშამ.

— კარგ პურმარილსაც მივართმევდი! — ამაყად ჩაილაპარაკა მო-  
ხუცმა.

საშამ გადაიხარხარა.

— ბაბუა! ისე მიურთმევიათ პურმარილი, რომ მასპინძელი არც კი  
უკითხავთ.

— როგორ! — წამოიყვირა მათემ.

პიონერებმა მათეს აჩვენეს ჩამქშეული სიმინდი.

— უპურმარილებიან, უპურმარილებიან. უკ, ის არამზადები, ის  
წყეულები! — აყვირდა მათე და თავში ხელები შემოიკრა.

— აბა, ყმაწვილებო, გადაეუხადოთ სამაგიერო, ვაჩვენოთ, როგორ



უნდა ნაშრომ-ნაამაგარის გაფუჭება! — შემოსძახა მათემ და მაჩვის სო-  
როსკენ წაიძღვარა საშა. სოროც იქვე იყო კლდის ძირას.

პიონერებმა ფიჩხი მოაგროვეს მათეს განკარგულებით. მათემ სორო  
დაზვერა, ყველა ხვრელი აღმოუჩინა და რამდენიმე ჩაჭოლა. შესასვლელ-  
ში კი ცეცხლი გააჩალეს. მეორე ხვრელთან მათე თოფით ჩაესაფრა. სო-  
რო ბოლით ამოიესო. მოისმა მაჩვის ღრენა, თავი გამოყო. ბავშვებმა ყი-  
ყინა დასცეს. შეშინებული მაჩვი ახლა მეორე ხვრელს ეცა. გაბოხდა კი-  
დეცაც, მაგრამ აქ მათეს თოფმაც იჭექა.



ტყვია შიგ შუბლში მოხედა და გადაატრიალა.  
 გოჭალიები კი შეშინებულები დარბოდნენ ლოდების გარშენო.  
 — აი შე წყეულო და მსუნაგო! კიდევ ააოხრებ სიმინდებს!  
 ძაბა ბაბუა მათემ და მაჩვი უკანა ფეხით დაითრია.  
 — ახლა, ბაბუა მათე, რა უნდა ვუყოთ ამ მაჩვს და გოჭალიებს?  
 იკითხა საშამ.  
 — რაც ქირნახული წაახდინა, ისევე მაგის ტყავიდან უნდა ამოვი-  
 გო, — მიუგო მათემ.  
 — მერე, როგორ?  
 — როგორ და ქონიდან საპონს მოვხარშავ, ტყავს სადაბალოში მიე-  
 ცემ და სამოგვეებს გამოვაცყვანიებ, ჯაგარს კი მეჯაგრეს მივყიდი მშვე-  
 ნიერ ფაფუკ პირის საპარს ფუნჯების დასამზადებლად.  
 — გოჭალიებს რაღას უზამ, ბაბუა მათე?  
 — გოჭალიები კი თქვენთვის მიჩუქნია. რაც გინდათ, ის უყავით.  
 თქვა ბაბუამ და მაჩვის ტყავებსა შეუღდა.  
 პიონერებმა გოჭალიებს დასტაცეს ხელი და შინისკენ გააქანეს.  
 ბ. ჩხეიძე.

## მოხუცი კოლმეურნის სიმღერა

პიონერებო, შემოკრბით,  
 გაიმახვილეთ სმენაო,  
 მოგითხრობთ: რანი ვიყავით,  
 ან დღეს რანი ვართ ჩვენაო.  
 მეფის დროს ღარიბ გლეხობას  
 ცხოვრება გვქონდა კრულიო...  
 უმიწაწყლონი ვიყავით,  
 ვიყავით დაჩაგრულიო.  
 დღეს ეს ბნელი დრო წავიდა,  
 დრო დადგა სანატრელიო...  
 ოქტომბრის რევოლუცია  
 შეიქმნა ჩაგრულთ მხსნელიო.  
 სოცმშენებლობა ტარდება,  
 იზრდება ქალაქებით,  
 სოფელმაც სახე იცვალა,  
 მძლავრად გაშალა ფრთებიო.  
 კოლექტივებში მოვეწყეთ  
 ღარიბ გლეხობის ფენაო,

საშუალოც ხომ მოვიდა  
 და მხარი დაგვიმშვენაო.  
 მიწებს ტრაქტორით ვმუშაობთ,  
 სოცმეჯიბრი გვაქვს წვერებსო,  
 მინდერებზე გვაქვთ გრიალი  
 წელმაგარ კომბაინებსო.  
 ჩვენი პირველი ხუთწლელი  
 ოთხწელში შევესრულეთო,  
 მოყვრები გავახარენით,  
 მტრებს გული დავუწყულეთო.  
 მეორე ხუთწლედს ასევე  
 ბოლშევიკურად ვხედებითო...  
 დამკვრელნი კოლმეურნენი  
 შეძლებულები ვხედებითო.  
 ამიტომ მშრომელ გლეხობას  
 გვიყვარს საბჭოთა წყობაო...  
 პარტიის ბელადს, ჩვენ სტალინს,  
 ვაშა და ჯანმრთელობაო!

ალ. ხაჩინოელი.

## 1.

გოგილამ ფეხი და ენა თავის დროზე აიდგა.

იგი ტოლ ბავშვებთან თავიდანვე შეეჩვია თამაშს.

მას ბევრი გასართობი ჰქონდა. ყოველგვარი პატარა ნივთი, რაც გოგილას გარშემო იყო, მის სათამაშოებს წარმოადგენდა.

გაზაფხულზე ეზოში რომ ბალახი ხავერდივით აბიზინდებოდა, გოგილა გამოეკიდებოდა ფრთა ფარფატა ჭრელ პეპლებს. მათ ჯერ დაიჭერდა, თავის პატარა ფუნჩულა ხელებს ნაზად მოჰკიდებდა, მოუალერსებდა და მერე ისევ გაუშვებდა. გახარებული ჭრელი პეპელა გვავილიდან ყვავილზე რომ გადასკუპდებოდა, მაშინ გოგილა ისევ აედევნებოდა, სდევდა მანამდის, სანამ ხელმეორედ არ დაიჭერდა. ის ზაფხულობით მდინარეში ბანაობდა, შემოდგომით ვენახში შეძვრებოდა და დახუნძლულ ვაზებს ათვალეირებდა. გოგილა როცა ვენახში მარტო იქნებოდა, მაშინ მთელ მტევანს იშვიათად მოწყვეტდა, მხოლოდ ყოველ მტევანში თითო ორ-ორ მარცვალს გამოაძრობდა და პირს ჩაიტკბარუნებდა, ზამთრობით თვალები კი მუდამ ცისკენ ჰქონდა მიპყრობილი.



მას უყვარდა ღრუბლებით გავსილი ზეცა და მუდამ თოვლის მოლოდინში იყო.

ასე გავიდა რამდენიმე წელიწადი თავის ოთხი შესანიშნავი დროით, რომლებიც თავთავის დროზე ყველა კარგია, მიმზღველი და საყვარელი, მაგრამ მუდამ რომ ერთი მათგანი ყოფილიყო, მაშინ ბუნება ერთფეროვანი და მოსაწყენი იქნებოდა.

გოგილას ყველაფერი ჰქონდა, რაც მის ტოლ ბავშვებს გააჩნდა, მაგრამ ერთი რამ მეტიც აღმოჩნდა, რომელსაც არც თვითონ აქცევდა ყურადღებას და არც მისი ტოლი ბავშვები.

ხელზე ყველას ხუთ-ხუთი თითი ჰქონდა და გოგილას კი ექვსი.


გოგილა ოთხი წლის შეიქნა, მაგრამ თავისი თითების რაოდენობა არცერთი ამხანაგის თითებისთვის არ შეუღაარებია.

მშობლებმა გოგილას თითების რაოდენობა თავიდანვე იცოდენ, მაგრამ მამა გულის გამამხნეველად სიცილით იტყოდა ხოლმე:

— შარვალი მოკლე არ უნდა მოგივიდეს თუ არა გრძელის დამსახურება ადვილი საქმეა.

ამ სიტყვებზე სხვები იცინოდენ, რადგან გოგილას მამა გულს არ იტეხდა და ოხუნჯობდა.

— ეგ მართალია, მაგრამ ბევრი და მეტი ყოველთვის კი არაა კარგი. ხანდობან შეჭამანდი რომ მლაშე გაკეთდება, მას ხომ აღარაფერი ეშველება? — გამოეპასუხა ერთი.



გოგილას მამას თავის პასუხი აქაც მომზადებული ჰქონდა:

— მლაშე შეჭამანდს წყალი უნდა ჩაურიო...

— არ ივარგებს...

— გემო დაეკარგება, — უპასუხეს სხვებმა.

უფროსები რომ ასე მსჯელობდენ, გოგილა დღეებს თამაშობაში აღამებდა.

## 2.

შემოდგომა იყო.

მტევნებით დაკუნწულ ვენახში გასივრება ბავშვებს კი არა, დიდებსაც ეხალისებოდათ. უფროსებს თავიანთი მკლავის ბარაქა ახარებდათ, ბავშვებს კი მწიფე მტევნების დაკრეფა.

ერთხელ შეგროვდენ გოგილა და მისი ბიძაშვილები. სულ ხუთიოდე ბავშვმა მოიყარა თავი. გოგილა ყველაზე პატარა იყო. მათ თავიანთი უფროსი ამხანაგის რჩევით ვენახში წასვლა გადაწყვიტეს. მათში ყველაზე უფროსი რვა წლის თუ იქნებოდა.

— იცით, ბიჭებო, თითო მტევანი მოეწყვიტოთ, — ასეთი იყო უფროსი ამხანაგის დარიგება.

— ბევრი რომ დაგკრიფოთ, კოლექტივის თავმჯდომარე გაგვიწყობდა, — გამოეპასუხა რომელიღაც.

— გაგვიწყობდა, ჩემო ძმაო, აბა რა იქნება, ჩვენ ახლა ერთი ფუთი ყურძენი არ გვეყოფა, ხილის ჭამა უნდა ვისწავლოთ. რთველში რომ შევალთ, მაშინ კი რაც შევიძლოთ ისე ვჭამოთ... მაშინ ყურძენის ჭამის დროა.

ყველანი დაეთანხმენ უფროს ამხანაგს.



შევიდნენ ვენახში და დარიგების თანახმად მოიტყეცნენ. ყველას თითო მტევანი ეჭირა ხელში, მხოლოდ გოგილას ორი მტევანი მოეწყვიტა. მიდიოდნენ ნელი ნაბიჯით და თანაც ყურძენს ჭამდნენ. ამ დროს გოგილა ტივის თავმჯდომარე შემოხვდათ.

ის კარგი კაცია...

ბავშვებსაც ძალიან უყვართ...

მან იცის ბავშვებთან ხუმრობა და ალერსიანი საუბარი.

— ჰაი, თქვე პატარა ჭურღებო, თქვენა! ვინ გითხრათ ამდენი ყურძენი დაკრიფეთო!

— ბიძია, აი, შეხედე, ბევრი კი არ მოგვიკრეფია...

კოლექტივის თავმჯდომარეს სახეზე ღიმილი აუთამაშადა, მაგრამ წარბებს განგებ იჭმუნნიდა, რომ ბავშვები არ გათამამებულებიყვენ და ვენახში მეტი ყურძენი არ დაეკრიფათ.

მან ბავშვები სათითაოდ შეათვალიერა.

გოგილა ყველაზე პატარაა.

ის უკან მოჩანჩალებდა.

— გოგილა, შენ ბევრი დაგიკრეფია და ხომ იცი ჩემი ამბავი! — თავმჯდომარემ სიცილით მიმართა და, თითქოს მუჭარის ნიშნად, მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს უქნევდა.

გოგილა გათამამდა, რაკი თავმჯდომარის ლაპარაკში ხუმრობის კილო შენიშნა.

— ლომელი ამბავი, ბიძია?

— რომელი და ვენახში რომ ჭურღებს დავიჭერ, თავს ყურსა და ყურს შუა ამოვაყოფინებ.

გოგილა შეფიქრდა.

მან ყურძენის მტევნები ცალ ხელში დაიკავა და მეორე ხელით ყურები გაისინჯა, შემდეგ კი სიცილი აუტყდა.

— ბიძია, ჩემი თავი ახლავე ყულსა და ყულს შუა ალის.

იმ ბავშვებს ასეთი ხუმრობით გასცდა კოლექტივის თავმჯდომარე და გოგილას მამას რომ შეხვდა, სიცილით მიმართა:

— ჩვენი ბავშვები ვენახში ყოფილიყვენ. მათ ყურძენი დაეკრიფათ. გოგილას ტყუილად კი არ აქვს ექვს-ექვსი თითი: სხვებს თითო მტევანი პოქნდათ, მას კი ორი.

გოგილას მამამ გაიცინა, მაგრამ თავმჯდომარის ხუმრობა არ მოეწონა.

— ექვსი თითი აქვს ჩემ გოგილას, მაგრამ გაიზარდოს და ნახე, რა ბიჭი დადგეს.

— შე კაცო, ცუდს არც მე ვლაპარაკობ. მე ძალიან მიხარია, რომ ცოცხალი ბიჭია.

გოგილას შესახებ უფროსები ლაპარაკობდნენ ხოლმე ხანდახან, თორემ მის ტოლ ბავშვებს არასოდეს არ დაუტყინიათ მისთვის.

### 3.

სექტემბერი ილეოდა.

რთველი ახალი დაწყებული იყო.

ქალაქიდან გოგილას ბიძაშვილები ჩამოვიდნენ. ისინიც გოგილას ტოლები იყვნენ. ბიძაშვილები ჩქარა დაუახლოვდნენ ერთმანეთს და თამაში დაიწყეს.



ქალაქიდან ჩამოსულმა ბავშვებმა პირველ დღესვე შენიშნეს გოგილას ხელზე ექვსი თითი. მათ განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ამის მეტჯერ არ ენახათ ექვსთითიანი ხელი. ისინი მუდამ გოგილას ეხეოდნენ ირგვლივ.

გოგილამ უხერხულობა იგრძნო და მხოლოდ ამის შემდეგ თვითონაც მიაქცია დიდი ყურადღება თავის თითებს. ის ხშირად იკიდებდა ხელს მეექვსე თითზე.

— გიგოლა, რატომ გაქვს ბევრი თითი? — ბავშვს ამ სიტყვებზე შერცხვა და ხელი უკან მოიფარა. მან თვითონ არ იცოდა, რატომ ჰქონდა ზედმეტი თითები და სხვისთვის რა უნდა ეპასუხებია.

— ლა ვიცი, — უპასუხა გოგილამ მოკლედ და დარცხენით.

ბავშვები თამაშის დროს ხშირად წაეკინკლავებოდნენ ერთმანეთს. ქალაქელმა ბავშვებმა ბევრი ლაპარაკი იცოდნენ. ისინი გაებუტებოდნენ თუ არა გოგილას, მაშინვე წამოხმახებდნენ:

— აი შე ექვსთითა...

გოგილა პასუხის ნაცვლად აიმრიზებოდა, მხრებს მაღლა აიყრიდა და თვალებიდან გადმოცვივდებოდა ცრემლები.

გოგილას ქალაქელმა ბიძაშვილებმა წინანდელი სილალე და სიმზიარულე დაავიწყეს. მან უკვე იგრძნო, რომ მისი ხელები სხვისი ხელებიდან განსხვავდებოდა, ამიტომ ბავშვებიდან განცალკევებით დაიწყო სიარული. იგი ტოლ ბავშვებთან შორი-ახლოს დადგებოდა და ისე უცქეროდა მათ თამაშს.

ერთხელ გოგილა ძალიან გააჯავრეს ამხანაგებმა.

მან ბევრი იტრა, შემდეგ მამასთან მივიდა და ასე შესჩივლა:

— მამა, მე ხელებზე ბევლი თითი მქონია და ამხანაგები დამცინიან, მაჯავლებენ...

— შეილო, ვინ დაგცინის?

— პირველად გულამმა და ნოდალმა დამიწყო დაცივნა, ახლა კი ყველა დამცინის.

მამამ გაიცინა.

მისმა სიცილმა გოგილას სახეც გააბრწყინვა.

— მერე, შე კი კაცო, მაგაზე უნდა გააჯავრდე? შენ ასე უნდა უპასუხო: ცოტას ბევრი არ სჯობიათქო.

— კალგი, — უპასუხა იმედით სახეც კილოთი.

ასეთი იმედი მისცა მამამ გოგილას, მაგრამ გულში კი ფიქრობდა ბავშვისთვის რამე ეშველა.

მამა ამგვარ ფიქრებში იყო გახვეული.

ის ფიქრობდა, ფიქრობდა, მაგრამ ვერაფერი ვერ მოიგონა.

ბოლოს, როცა გამოსავალი არსაიდან აღარ ჩანდა, თავისთვის იტყოდა ხოლმე:

„მამა არ ჰყავს მახინჯი და დედა, არც ბებია და არც ბაბუა, სხვას ვილას უნდა გამოგვანებოდა?“

გოგილას ბიძა ქალაქიდან რომ ჩამოვიდა გურამისა და ნოდარის წასაყვანად, თავის ძმასთან მივიდა. მათ ერთმანეთს საკუთრი ამბები გამოკითხეს. ბოლოს გოგილას მამამ თავისი დარდი გაუშვლავნა.



ძმას გაეცინა.

— ეგ სულ ადვილი მოსარჩენია. ბავშვი ქალაქში ჩამომიყვანე და იქაური ეჭიმები მაგას უცებ მოარჩენენ.

მამამ სიხარულის გამო წარბები გაშალა.

— მართლა?! — იკითხა გაოცებით.

— შენ მე დამიჯერე, რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი. იქ მაგისთანებს ადვილად არჩენენ. ქალაქში ძალიან კარგი ეჭიმები არიან.

(გაგრძელება იქნება)

ლავრ. ჭიჭინაძე.



ალარ ისმის ფრინველების  
ჭიკჭიკი და გუ-გუ,  
ნაღვლიანად თვალს ვაშორებ  
ოფოფსა და გუგულს.  
გადიარეს, გადასცილდენ  
ველებს, მთებს და შორ ზღვებს.  
სულ სხვა სახის ფერი დაკრავს  
მინდორს, ტყეს და მწველ მზეს.  
ცას ღრუბლები შემოაწვა  
კრიალას და ლაქევარდს;  
გულს მიწუხებს, როცა უხედავ —  
წეროების ლაშქარს.  
მთა და ბარი კვლავ მოიწყენს,  
ქარი ფოთლებს არხევს;  
თან მივსძახი ფრინველთა გუნდს:  
„მალე ისევ გვენახეთ!“  
მაგრამ მაინც გადიარეს,  
გადასცილდენ შორ ზღვებს.  
სულ სხვა სახის ფერი დაკრავს  
მინდორს, ტყეს და მწველ მზეს.  
ამ დროს ირგვლივ გადავხედავ, —  
და მოწყენას ვკარგავ.  
ბალ-ვენახს რომ მწიფე ხილი  
ფერად-ფერად ქარგავს.

თანაც მინდა ასე იყოს  
შემოდგომა მსუყე.  
ყველა ბუჩქი გადავკოცნო —  
მზად ვარ მისთვის უკვე-  
ვენახი და ბალი ითხოვს:  
„ეს სიმწიფე კვარა;  
კოლექიტვო, ურმები და  
კალათები ჩქარა!“  
იქვე ტურში მღერა ისმის,  
მღერა გრძნობით საეზე.  
შემოდგომის ბარაქაა  
მკლავის სიძვირფასე.  
მალე ეზოს დაამშვენებს  
ჩურჩხელების მწკრივი.  
ძალით უნდა გამოვსტაყო  
მზეს სითბო და სხივი.  
ფრინველები გაგვიფრინდენ,  
გადასცილდენ შორ ზღვებს.  
შემოდგომის ნილსი ბურავს  
მინდორს, ტყეს და მწველ მზეს.  
მაგრამ ირგვლივ გადავხედავ  
და მოწყენას ვკარგავ.  
ბალ-ვენახს რომ მწიფე ხილი  
ფერად-ფერად ქარგავს.

სანდრო უღენტბი.

## უპირისპირება

შემოდგომა მოახლოვებული იყო. სოფლად წასული მოწაფეები ბრუნდებოდნენ ტფილისისაკენ, რომ ჯანმრთელნი და მხიარულნი შეხედდნენ მომავალ სასწავლო წელს.

პატარა ნოდარიც გულის ფანქარით მოელოდა სწავლის დაწყებას. მართალია, ის ტფილისში წასასვლელად არ ემზადებოდა, მაგრამ სოფლის სკოლაში საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა.

ნოდარს უყვარდა გაკვეთილების სწავლაც და ბებიასთან ერთად ფუსფუსიც.

გარიტრაეზე, როდესაც ბებია ადგებოდა, ნოდარიც წამოხტებოდა ლოჯინიდან და საჭიანი კაცივით დაჰყვებოდა.

ბებია მთელი ღლე დაფუსფუსებდა: ხან ქათმებს უძახდა დილის საუზმეზე, ხან ძროხასთან მივიდოდა, ხან ეზოს ასუფთავებდა...

ძალიან უყვარს ნოდარს სოფელი და უფრო მეტად შემოდგომაზე, როდესაც ლოყაწითელა ვაშლებსა და ატმებს ჩაუვლის, შეფერილ ყურძენსაც ინახულებს და პირს ჩაიტკბარუნებს.

ბებია თუმცა უჯავრდება, ჯერ ყურძენს ხელს ნუ ახლებო, მაგრამ რა ქნას ნოდარმა, გული არ უსვენებს, მიუჯდება ვაზს და კიკნის მწიფე მარცვლებს.

როგორც კი მისკენ მომავალ ბებიას დაინახავს, გადახტება, შეძვრება ვაზებში და დაიმალება.

— აი, შე ეშმაკო, შენა, დამაცადე, მოგასწრო კიდეც, თუ ყურები არ დაგიწითლო!

მისდევს ბებია და თან ემუქრება, მაგრამ ნოდარს ბებიას მუქარა აღარ ესმის: ის უკვე სახლის აივანზე ზის. დაუტყვია წიგნი და, ვართო არაფერი, წიგნს კითხულობს.

ნოდარს ერთი ჩვეულება ჰქონდა: ეჯავრებოდა ფეხსაცმელების ჩაცმა. თუ ძალით ჩააცვამდნენ, დაიმალებოდა, გაიხდიდა, დაყრდა და თითონ კი ფეხშიშველი დარბოდა.

ხან ეკალი შეერკობოდა ფეხში, ხან ფეხს გაიფუჭებდა ქვაზე და ტირილით მივიდოდა შინ. დედა გაუჯავრდებოდა, დაბანდა, ფეხს შეუხვევდა, ჩააცმევდა ფეხსაცმელს, მაგრამ არ იქნა, ვერ შეაჩვიეს. როდესაც ფეხსაცმელებზე ელაპარაკებოდნენ. ის ბებიას მიუჯდებოდა და ეკითხებოდა:

— ბებიკო, რთველი როდის იქნება? რომ იცოდე, როგორ მიხარია! უკ, რა აკიდოებს ავისხამ! ჩურჩხელებს ხომ ამომივლებ? სამაგიეროდ მე ზამთარში კარგად ვისწავლი, კარგ ნიშნებს მივიღებ და მეორე ჯგუფშიც გადავალ.

— აბა შენ იცი ჩემო ბიჭუნი თუ კარგად მოიქცევი, არ იეშმაკებ და გეასახლებ.

სკოლაში წასვლის დროც მოახლოვდა. ნოდარს დედამ შეუქარა ახალი ტანისამოსი, უყიდა ახალი ფეხსაცმელი, გამოაწყო კობტად, სუფთად და დიდი ხნის დარიგების შემდეგ გაგზავნა სკოლისაკენ. ძალიან უხაროდა ნოდარს სკოლაში წასვლა, ამხანაგების ნანვა, მაგრამ ფეხებზე რომ დაიხედავდა, ვერ ისვენებდა. უყვარდა ფეხშიშველა სირბილი, წყალში, ტალახში ტოპვა. ფეხსაცმელებით კი ყველაფერი ეს შეუძლებელი იყო. რის ვაივავლახით წავიდა ნოდარი სკოლაში. სკოლაში მეცადინეობა ადრე დამთავრდა. სიხარულით გაიქცა ის ვენახისაკენ.

როდესაც ვენახთან მივიდა, გაიხადა ახალი ფეხსაცმელები, გადააბა ერთმანეთზე და ლობესთან ჩამოკიდა. თითონ გადახტა ლობეზე, ვაზებში შეძერა, ჯერ თეთრი ყურძნით ჩაიგემრიელა პირი, შემდეგ საფერავს მიუჯდა. დაკრიფა ბლომად მტევნები და ნასიამოვნები დაბრუნდა, რომ ამხანაგებისთვისაც დაერიგებია, მაგრამ დახეთ უბედურებას, უცებ წამოჰკრა ფეხი ხის ტრუსს, დავარდა და კალთაში მოგროვილ ყურძენს ზედ დაეცა. ახალი ტანისამოსი სულ შავი ყურძნის წვენით შეეღება.



ყურძენს ვინლა ჩიოდა, ტანისამოსი სულ მთლად ამოესვერა. რი ქნას აღარ იცის.

ბოლოს იფიქრა: არა უშავს, გავიქცევი წყალზე, გავრეცხავ ხალათს, გავიშრობ და ჩავიცვამ, დედაც ვერაფერს გამიგებსო.

გაიქცა ფეხსაცმელების ასაღებად, მაგრამ აქ უარესი ამბავი დახვდა. ეძია, ეძია, მაგრამ შენახული ფეხსაცმელის კვალიც ვეღარ იპოვა. ვერაფერი მოახერხა და მორთო ხმამაღალი ტირილი.

ვენახი სახლის ახლოს იყო. დედამ როგორც კი გაიგო ნოდარის ტირილის ხმა, გულგახეთქილი გავარდა ამბის გასაგებად. უკან ბებია მისდევდა. როგორც კი დაინახეს შავად ამოსერილი ნოდარი, დედას კინალამ გული შეუწუხდა, მაგრამ როდესაც გაიგო რაშიც იყო საქმე, დაუწ-

ყო ნოდარს ტუქსეა, ნოდარს კი ვერაფერი მოეხერხებია, იღვა თავნა-  
ღუნული და მარტო ამას იძახოდა:

— მე რა ვუყო, ჩემი ბრალი ხომ არ არის, ყველაფერი ყურადღებულად  
ბრალია.

ქ. ხაათაშვილი.

## დაგვიკრალი გოგი სოფელში

დიდი ხანია, რაც გოგი  
დამკვრელის სახელს ატარებს,  
ახარებს თავის მშობლებს და  
აძლევს მაგალითს პატარებს.  
იშრომა მთელი ზამთარი,  
ტოლებში მუდამ წინ იყო  
შარშან თუ ჰქონდა კარგები, —  
წელს ფრიადები მიიღო.  
მოქანცა გოგი სწავლამა,  
ზაფხულიც მოდის მზიანი,  
ახლა სურს სოფელს ესტუმროს  
ცელქი და თავაზიანი.  
აჰა, მოვიდა ივლისიც,  
სოფელს ესტუმრა პატარა,  
მამამ სოფელი თავიდან  
ბოლომდის შემოატარა.  
ნახა ტყეები, ველები,  
სათიბები და წანები,  
გაიცნო მინდვრის მცველები,  
და ბევრიც იმისთანები.  
დაკრიფა მსხალი და ვაშლი,  
ჩაიტკბარუნა ტუჩები,

ტოლებთან ერთად თამაშით  
გაახალისა ქუჩები.  
გაიცნო ბოსტნის დოვლათი —  
ქინძი, კამა და ტარხუნა,  
ვენახი, ბალი, ბაღჩები,  
ყურძენიც ჩააკრაბუნა.  
იქ ითევზავა და აქ კი  
მშვილდისრით მოინადირა  
და შრომით მონაპოვარი  
დედას მიართვა სადილად.  
ესწავლა სოფლის შესახებ,  
წიგნებიც გადაეკითხა,  
ჩამოგიოვლიდათ ყველაფერს,  
რომ მისთვის რამე გეკითხათ.  
თითქოს იცოდა ყოველი,  
სად რა ხდებოდა, რა იყო,  
მაგრამ ნამდვილად სოფელი  
ახლა ნახა და გაიგო.  
გაიცნო ბოსტნის დოვლათი —  
ქინძი, კამა და ტარხუნა,  
ვენახი, ბალი, ბაღჩები,  
ყურძენიც ჩააკრაბუნა.

ვანო შოველი.

## მონაღობები

1

შალიკო და აჩიკო დედამ გამოსასვლელ ღღეს ქალაქგარეთ წაიყვანა  
მამიდა ტასოსთან. კარგი დარი იღვა. მზე სასიამოვნოდ ატყუნებდა, და  
ბიჭები თავის ტოლ მამიდაშვილებთან, მზიასა და ეთერთან, მთელ ღღეს  
ჰაერზე, მწვანე ბალახზე დაკუნტრულშობდენ.

— აბა, ახლა მე და შალიკო წითელრაზმელები ვიქნებითო, აჩიკო  
და ეთერი კი შავრაზმელები, — გამოაცხადა მზიამ.

— ჩვენ აგურებისაგან ციხე-სიმაგრეს ავაშენებთ, მას ამოვეფარებთ. თქვენ კი შორიდან ტყვიების ნაცვლად ამ ფხვიერ მიწას დაგეგმენო, მერე ჩვენ იერიშით შემოგიტევთ და თქვენ გაიტყვეით.

— ბუმ! ბუმ! ზ-ზ-უ-უ-უ! — ისმოდა ერთხანს „ტყვიამურქვეებისა“ და „თოფების“ კახაჭუხი. თუმცა შავრაზმელები დიდხანს თავგამოდებით იბრძოდნენ, წითელარმიელების მედგარ შეტევას ვერ გაუძლეს და ბუჩქებში გაიფანტნენ. დრომ შეუღმწველად გაიარა, და კმაყოფილი ბიჭები შინ ბრუნდებოდნენ.

— რა კარგად ვითამაშეთ დღეს, რა მშვენიერი ციხე-სიმაგრე ავაშენეთ! — დაიწყო აჩიკომ.

— ხის თოფის ტრიალი და მიწის სროლა პატარების საქმეა! — და-ცინევით მიუგო შალიკომ. — მე კი შინ რომ მივალ, ბიძიას ჯაყვით ნამდვილ თოფს გამოვთლი და რკინის ლულასაც გავუტეებ. როგორ მოეწონებათ მზიასა და ეთერს, მეტადრე თუ ძველი მეშისაგან ზურგზე გადასაგდები თასმაც გავუტეეთ!

— ხის თოფი, ძველი თასმით. ესეც ხომ ბავშვების სათამაშოა. არც კი ღირს მისი გამოთლა. განა სათამაშოების სავაჭროში ცოტაა გასაყიდი?



— მაშ ნამდვილ თოფს ვინ მოგვცემს?

— ვიყიდით, შალიკო, სანადირო თოფი, ერთი მაინც! — შეევედრა ძმის აჩიკო. — იარაღის სავაჭროში, გაღმა, რამდენიც გინდა იმდენია, გინდ საფანტისა იყოს, მაინც სჯობია, ვიდრე ხის თოფი.

შალიკოს ძმის აზრი ჭკუაში დაუჯდა. გადაწყვიტა ხეაღვე საჭირო პირობებში გაეგო თავის ჯგუფის მოწაფე ჯუმბერთან, რადგან მისი მამა მონადირე იყო და თავისი ძაღლით ხშირად დადიოდა სანადიროდ.

## 2

— გუშინ მამაჩემი ძალიან გვიან დაბრუნდა ნადირობიდან, — ხალისით უამბობდა გაკვეთილის წინ ჯუმბერი ამხანაგს. — უკვე შებინდდა. დედას ეშინოდა, გზაზე, ხომ არაფერი შეემთხვაო. უცებ კარი გაიღო და ოთახში მამა შემოვიდა, ხელში რაღაც გრძელი, გახვეული ისე ფრთხილად ეჭირა, რომ დედამ შესძახა: ვანო, ეგ შეხვეული ბავშვი ხომ არ გიპოვნია საღმეო. მამამ სიცილი დაიწყო, გაზეთი გაშალა და მაგიდაზე მკვდარი ხოხობი დადვა. — „იმიტომ მომჭონდა ასე ფრთხილად, მეშინოდა ფრთები და ბუმბული არ დამემტვრია. ეს მშვენიერი მამალი ხოხობია და ამისაგან ძვირფასი ფიტული გამოვაო, — აგვიხსნა მან.





— ჯუმბერ, გეთაყვა, — შეეხვეწა შალიკო ამხანაგს, — ხომ არ იცი, სანადირო თოფი სად იშოვება და რა პირობებში?

— როგორ არ ვიცი, მამაშენი მონადირეთა კავშირის მდივანთან უნდა წველა წესები იმან კი არა, დედაჩემმა და მეც კარგად ვიცი.

— მე რომ მივიდე სავაჭროში, მომცემენ თოფს?

— რატომაც არ მოგცემენ. ყველასაც აძლევენ, რა თქმა უნდა, ფულითა და წიგნაკებით.

გაკვეთილების შემდეგ გახარებული დაბრუნდა შალიკო შინ. იმ დღეს ბიჭებმა ადრე ისაძლიეს და საჩქაროდ მამიდა ტასოსკენ გასწიეს, რადგან იცოდნენ, მზია და ეთერი ყოველ ღონეს იხმარდნენ თავის განზრახვის შესასრულებლად.

— თოფებს ყველას ურიგებენ წიგნაკებით. საქმე ფულია, და ამოდენა ხალხი ერთი თოფის ფასს როგორმე შევაგროვებთ, მეტადრე თუ უფროსებიც დაგვეხმარებიან, — არწმუნებდა ყველას შალიკო.

— მე ახლავე გამოვართმევ დედას ჩემს ყულაბას, — თქვა ეთერიმ. — ისეა გატენილი შავი ფულით, ისე... რომ ძლივს-ლა ხმატრობს. ყველას გაეცინა.

— არა, ეთერ, შენი შავი ფული ცოტას დაგვეხმარება. ისევ სჯობია უფროსებს გავუშხილოთ ჩვენი სურვილი და დახმარებაც ვთხოვოთ. მზია მაშინვე გაიქცა და მალე ოთახში დედა შემოიყვანა.

— აი, დედიკო, შალიკო თვითონ აგისხნის ყოველივეს და ვნახოთ, მაშინაც თუ არ დაიჯერებ ჩემს სიტყვებს, — ეუბნებოდა მზია.

— მე ეჭვი მეპარება, რომ სანადირო თოფებს ვერც ადვილად არიგებდნენ პურის წიგნაკებზე, როგორც მზია ამბობს, — დაიწყო დედამ.

— როგორ არა მამიდა, შალიკომ ყოველივე გაიგო. საქმე ფულია. თოფებს ყველას ურიგებენ პურის წიგნაკებზე. სულზე თითო თოფს, — სხაპასხუპით დააყარა აჩიკომ.

სხვა ბავშვებიც აჟრიააულდნენ და მალე დედა აიძულეს დახმარება აღეთქვა.

მთელი ერთი კვირა ამ საგანზე იყო ლაპარაკი. ბავშვებმა ყველა მეზობლებს შეატყობინეს თავისი განზრახვა, და შალიკო მოუთმენლად ელოდა ამ წამს, როდესაც თოფით მხარზე პირველად დაენახებოდა ამხანაგებს.

3

— მე და მზია საწყობში შევალთ, თქვენ კი აქ გარეთ მოგვიცადეთ, — თქვა შალიკომ, როდესაც ბავშვები იარაღის საწყობს მიუახლოვდნენ.

— ჯერ გარედან გავსინჯოთ თოფები! — შეეხვეწა მზია. — შესვლას ყოველთვის მოვასწრებთ.

— შალიკო, ფული ხომ არ დაგაეიწყადა? — მზრუნველობით იკითხა ეთერიმ.

— არა, აქ არის, — მიუგო შალიკომ და უბეზე ხელი დაიკრა.

— რომელი თოფი ავირჩიოთ? — იკითხა აჩიკომ.

— რა თქმა უნდა, ყველაზე პატარა და მსუბუქი. გინდ ის მოკლე, ყავისფერი. ხედავ, ჩახმახის ზემოთ, გვერდზე რომ ღერძი აქვს, ჯერ ის


უნდა გამოსწიო, შემდეგ ტყვია ჩაღვია, მოსწიო და მორჩა... ჩახმანის და-  
კერა-ლაა საჭირო.

— ნულარ ვაყოვნებთ! — მოუთმენლად შესძახა მზიამ და საწყობში  
თამამად შევიდა.

— არ დაგაეწყედეთ ჩვენი დაძახება, როდესაც თოფის არჩევას შე-  
უდგებით! — მიაძახა აჩიკომ.

— ჩვენ გვინდა სანადირო თოფი ვიყიდოთ, დაიწყო შესვლისთანავე  
შალიკომ, რომელსაც, ცოტა არ იყოს, ფერი ეცვალა ამდენი იარაღის  
დანახვაზე.

ახალგაზრდა გამყიდველი ზეზე წამოიჭრა, ერთხანს კარებისაკენ იყუ-  
რებოდა, თითქოს უფროსის შემოსვლას ელისო, მაგრამ როდესაც და-  
რწმუნდა ბავშვები მარტონი იყვნენ, ზანტად დაეშვა სკამზე და უხა-  
ლისოდ მიუგო: „სანადირო წიგნაკებზე გაიცემა“, შემდეგ მოლარეს მი-  
უბრუნდა და შეწყვეტილი ბაასი განაგრძო.



მზიამ და შალიკომ ერთმანეთს გადახედეს, ერთხანს საწყობში იტრია-  
ლეს და დარცხვნით გარეთ გავიდნენ.

— მონადირეთა კავშირის წიგნაკებზე გაიცემა, — უკმაყოფილოდ  
უხსნიდა მზია უმცროსებს, როდესაც ქუჩაში გამოვიდნენ.


— აკი პურის წიგნაკებზეაო! — შესძახა აჩიკომ.

— სულ შენი ბრალი კია, შე არამზადავ! შეუტია ძმას ქარხალივით  
გაწითლებულმა შალიკომ. — დაიჟინე, ნამდვილი თოფი ვიყიდოთ, ნამ-  
დვილი თოფიო! ესეც შენი ნამდვილი თოფი!

მარეხი.

— ბები, ჩემო ბები, კიდევ ორი-სამი დღე, და მერე ტფილისში უნდა წავიდეთ. უკვე პირველი სექტემბერი ახლოვდება, სწავლის დრო. ძალიან მეძნელება სოფლის დატოვება, მაგრამ რას იზამ, უსწავლელი კაცი არ ვარგა, წელსაც მესამე ჯგუფში, თავი დამკვრელად უნდა გამოვაცხადო, წელსაც მოწინავე მოწაფე უნდა გავხდე! აბა, იმას როგორ ჩავიდენ. ჩემო ბები, რომ შენ არ გასახელო!

— ასე, ასე! გენაცვალოს შენი ბებია, ასახელე შენი მშრომელი დედა, შენთვისა და ნათელასათვის დაუღალავად რომ შრომობს, — უთხრა ბებია ტასომ თავის შვილიშვილს გივის.



გივისა და ნათელას მამა რკინისგზის მთავარ სახელოსნოს მუშა იყო, დამკვრელი, მოწინავე მუშა. ოთხი წლის წინათ მუცლის ტიფი შეეყარა და გარდაიცვალა. მთელმა ქარხანამ: ადგილკომმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მწვევედ განიცადეს მისი დაკარგვა. მისი ხსოვნის აღსანიშნავად პატარა გივის სტიპენდია დაუნიშნეს და ტფილისის საუკეთესო სკოლაში მიაბარეს მოწაფედ. მათი დედა ნატო აბრეშუმის საქსოვ ქარხანაში განაგრძობდა მუშაობას.

— სირცხვილი არ მაქამო, გენაცვალოს ბებია, კარგად ისწავლე და ხალხის ყურადღება და დახმარება გაგვამართლებინე.

— ფიქრი ნუ გაქვს, ბები, განა ტფილისშიაც ასე ვიგივებ, როგორც აქ! არასდროს!

იქ თავისუფალი დრო არ მექნება საანკესოდ და ვერც მშვილდ-სარს მოვაწყობ, ხის ტოტებიდან სასტვენების გამოქრას კი მომავალ წლამდის აბა ვინ ელორება! აწი სწავლაა ბები საჭირო, სწავლა! — შესძახა გენაცვალსა და გივიმ და ბებია ტისოს ყელზე ჩამოეკიდა.

— ჰო, ჩემო გივი, ჩემო კარგო. გენაცვალოს შენი ბებია! — და გივის თავზე ხელი გადაუსვა.

— მართლა, ბები, ქალაქში რომ წავალ, ჩურჩხელები გამომიგზავნენ. კიდევ ვაშლი, მსხალი, უნაბი, ლელვის ჩირი და, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც მე მიყვარს. დროზე გამოგზავნე, თორემ, ხომ იცი ჩემი წუწკობა... ლოდინში სული ამომძვრება...

— დარდი ნუ გაქვს, ყველაფერი თავის დროზე იქნება, ყველაფერს ადრე გამოგიგზავნი, — უთხრა ბებიამ და გივი გულში ჩაიკრა.

მზე კარგად ამოწვერილიყო, როდესაც გივისა და ნათელას თავიანთი სოფლის მეგობრები ტფილისისაკენ აცილებდნენ. აქ მოგროვილიყვნენ: მირიანი, მერაბი, გოგი, ქეთუნა, ცხვირმოკლე მიტო და გრძელცხვირა დიტო. ავტომობილის მოლოდინში ეს ბავშვები კისკისებდნენ, იცინოდნენ, ცეკვავდნენ, ცელქობდნენ. როცა ავტომ ჩამოიარა, ყოველ მათგანს ხელში რაღაც ეჭირა. ზოგს წითელი ცხვირსახოცი, ზოგს თეთრი, ზოგს ხას ტოტი, ზოგს სათამაშო მათრახი და ზოგსაც სხვა რამე. და ასე დარაზმულად, ხელის ქნევით გააცილეს გივი და ნათელა ტფილისისაკენ.

ახლა, როდესაც უკვე სწავლა დაიწყო, თქვენ შენიშნავთ ლენინის რაიონში ორ მოზარდს, რომელნიც ყოველ დილით სკოლისაკენ გარბიან; ერთია გივი, რომელიც ოთხწლედში დადის, და მეორე ნათელა, რომელიც საბავშვო ბაღში დაცუნცულებს. ორივენი დამკვრელი მოწაფეები არიან, ორივე კარგად სწავლობს.

პატარა გივი სკოლის კედლის გაზეთის კორესპონდენტია. რადგანაც ხილით სავსე ამანათმა ძალიან დაიგვიანა, კედლის გაზეთისთვის შემდეგი ლექსი დაწერა:

### წერილი ბებიას.

მოგიკითხავთ, ჩემო ბები,  
მე და შენი ნათელა...  
უკვე სკოლაში დავდივართ  
პატარები აქ ყველა!  
შემოდგომა ხომ მოვიდა,  
შენ რალას ელოდები?  
ყველაფერი დამზადე  
საჩქაროდ, ჩემო ბები!  
ამანათი გამოგზავნე  
ჩურჩხელით და ხილითა,  
ჩაგვაგემრიელებინე  
ყელი ვაშლით, ტკბილითა.

შენი გივი.

გივის ხშირად აგონდება ბებიასაგან მისაღები ამანათი. შიგ ჩაწყობილი ჩურჩხელა, ლელვის ჩირი, ტკბლი ვაშლი, საშემოდგომო მსხალი, მწიფე ყურძენი, თხილი, ყვითელი კომში, და პირზე ნერწყვილმოდგარი მუყაითად განაგრძობს სწავლას.

ლალო გეგეპკორი.



# ოთარის სიხარული

ჰა, გავიდა ეს ზაფხულიც  
სიხარულსა და შრომაში,  
ოთარსაც დრო მოუვიდა,  
კვლავ რომ დაბრუნდეს სკოლაში.  
დღეს ხალისით ემზადება,  
აწყობს ნივთებს და ალაგებს  
და თან ფიქრობს, ხვალ სკოლაში  
როგორ შეხვდეს ამხანაგებს.  
სიხარულით ვერ ისვენებს,  
უნდა მალე რომ დაღამდეს,  
დედას სთხოვა გაღვიძება,  
რათა დილით ადრე ადგეს.  
მაგრამ მაინც დღეს, რატომღაც,  
დაღამება გახდა ძნელი;  
ეს დღე ოთარს ეჩვენება  
სხვა დღეებზე უფრო გრძელი.

6. შევლიძე.

## ყვავილედი

ნიაეს მოაქვს ახლო  
ყვავილეების სუნი,  
მარო მედიის მათთან,  
უცემს ნორჩი გული.  
ამბობს: „ეს კოკორიცი  
გადიშლება მალე,  
როგორი კარგია,  
მას კი ვენაცვალე!  
გაგიყვებით მომწონს  
ეს წითელი ფერი,  
უნდა გავაშენო  
ყვავილები ბევრი.  
საქმე მიყვარს მუდამ,  
თუნდაც იყოს ძნელი,  
განა ზარმაცი ვარ  
ნორჩი ოქტომბრელი?!  
ამ ყვავილებს მაინც  
ვერ ვაშორებ თვალებს,  
რა ლამაზებია,  
ამათ ვენაცვალე!“

დავით ბერიკაშვილი.

# როგორ გადაარჩინა სპილომ თავისი პატრონი.



ინდოელებს ჰყავთ მოწინაურებული სპილოები, რომელთაც იყენებენ სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად.

ერთხელ ერთი ინდოელი წავიდა თავისი სპილოთი ტყეში შეშის მოსატანად. ტყე გაუვალი და დაბურული იყო. სპილო პატრონს გზას უკვლევდა, ეხმარებოდა ხეების მომტვრევაში, პატრონი გზადაგზა შეშას აწყობდა მის ზურგზე.

უცებ სპილომ შეწყვიტა პატრონისადმი მორჩილება, დაიწყო ირგვლივ ცქერა, ყურების პარტყუნი, შემდეგ ხორთუმი მაღლა ასწია და ერთი საშინლად დაიღმუჟლა. პატრონმა ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ ვერაფერი ვერ შეამჩნია. იგი გაუწყრა სპილოს და ხის ტოტით ყურებზე ცემა დაუწყო.

სპილომ ხორთუმი ძირს ჩამოუშვა, რომ პატრონი ზედ დამჯდარიყო და ზურგზე შემოესვა. პატრონმა იფიქრა: კარგი, შევეჯდები ზურგზე და ასე უფრო უკეთ წავიყვან ჩემს ჭკუაზეო. ის შემოაჯდა კისერზე სპილოს და დაუწყო ტოტით ყურებზე ცემა.

სპილომ ცოტა უკან დაიხია, დაიწყო ერთ ადგილას ბორიალი და ხორთუმის ტრიალი, შემდეგ გაქვავდა და ხორთუმი რალაცის დასაქერად გაამზადა.

პატრონმა მომართა ტოტი, რომ მთელი ძალღონით დაერტყა სპილოსათვის ყურებზე, მაგრამ... უცებ მახლობელი ბუჩქებიდან ისკუპა და გადმოეშვა ვეებერთელა ვეფხვი. ვეფხვს უნდოდა უკანიდან წამოხტომოდა სპილოს ზურგზე, მაგრამ დახტომის დროს შეშა ჩამოიშალა, და ვეფხვს ნახტომი წაუხდა.

მეორედ რომ უნდოდა სპილოს დახტომოდა, ამასობაში სპილო მოტრიალდა, შემოსკიდა წელზე ხორთუმი, როგორც მსხვილი თოკი, და გაგუდა.

ვეფხვმა პირი გააღო, ენა გადმოაგდო და დაიწყო ფეხების ფხარკალი. სპილომ კი ამასობაში უკვე ასწია მაღლა, დაახეთქა მიწაზე და დაუწყო ფეხებით ქელვა.

სპილოს ფეხები ხომ დირეგბივით აქვს და ვეფხვი ლავაშვივით გააბრტყელა. როცა პატრონი გონს მოვიდა, შუბლზე ხელი შემოირტყა და თქვა:

— ვაი, რა სულელი ვიყავი, რომ სპილოს ვცემდი. მან კი მე სი-  
ცოცხლე შემინარჩუნა.

ამოილო პური, რომელიც თავისთვის ჰქონდა წამოღებული, და მთლიანად სპილოს უთავაზა.

**ბ. შიტკოვი.**

(თარგმანი კ. — სი).

# სივართლის მოქვაკული



(ე. რასპედან).

ყველ: გვეყნის ბავშვებს უყვართ მიუნჰაუზენი, საოცარი მოხუცი, როპელიც თავისი უცნაური ამბებით ართობს პატარებს. მართალია, როცა მიუნჰაუზენი ლაპარაკობს, მსმენელი იცინიან და ზოგი თავს ვერ იჭერს, ტყუილიაო, იძახიან, მაგრამ მოხუცი დინჯად უპასუხებს:

— რას ამბობთ, როგორ თუ ტყუილია, ჩემისთანა სივართლის მოყვარული დედამიწაზე მეორე არ მოიძებნებაო.

მსმენელი კი იცინიან, იცინიან...

აი მიუნჰაუზენის ზოგი ნაამბობი.

## თვალღან გაჩილი ნაპერწკალი.

მე ხშირად დავდიოდი სნადიროდ. საიშვენებით ვიგონებ იმ დროს, რადგანაც ყოველდღე საინტერესო ამბებს გადავაწყდებოდი ხოლმე.

ერთი ამბავი ძალიან საინტერესოა.

ჩემი ოთახის ფანჯრიდან მოჩანდა ერთი ტბა, სადაც აუარებელი ფრინველი იყო.

ერთ დღიას, ფანჯარასთან რომ მივედი, გარეული იხვები შევნიშნე ტბაში.

დავავლე ხელი თოფს და გავვარდი, მაგრამ სიჩქარით კარს დავეჯახე და თვალებიდან ნაპერწკლები გამცვივდა. ამას არ შევეპუე და ისევ მოვუსვი ტბისკენ.

აი ტბაც. გამოვუმიშნე ყველაზე მსუქან იხვს, გამოვუშალე ჩახმახი, მაგრამ... თურმე, კაცი არ ჰქონია ჩემ თოფს (კაჭიანი თოფი მქონდა). რა ვქნა, უკაფოდ რანაირად ვისროლო? გავიტყე და მოვიტანო? მაგრამ იხვები რომ გაფრინდნენ, რალა მეშველება?

საშინლად ნაწყენი ვიყავი, დავუშვი თოფი და უცებ გამიელვა მშვენიერმა აზრმა. რაც ძალი და ღონე მქონდა, მუშტი ჩავირტყი მარჯვენა თვალში, თვალღან ნაპერწკლები გამომცვივდა, და დენთი აფეთქდა. აფეთქდა დენთი, გავარდა თოფი, და მე ერთი სროლით ათი მშვენიერი იხვი მოვკალი.

## საოცარი ნადირობა

ერთხელ მთელი დღე ვნადირობდი და საღამოს ერთ დიდ ტბას წავაწყდი ტყეში. იქ უთვალავი გარეული იხვი იყო. ჩემ სიცოცხლეში არ მენახა ამდენი იხვი!

სამწუხაროდ, ერთი ვაზნაც კი აღარა მქონდა.

იმ საღამოს სტუმრებს ველოდი და ძალიან მინდოდა კარგად გამეასპინძლებოდი. მე სტუმართმოყვარული, ხელგაშლილი კაცი ვარ. ჩემი სადილები მთელ ჩვენ ქალაქში განთქმულია და აბა როგორ უნდა დავბრუნდე უიხვებოდ?



ლიდხანს ვიდეჭი და არ ვიცოდი რა მექნა. უცებ გამახსენდა, რომ სა-  
ნადირო ჩანთაში ერთი ნაჭერი ქონი მქონდა.  
ვაშა, ვაშა, აი ამ ქონით მოვიტყუებ იხვებს!  
საჩქაროდ ამოვიღე ქონის ნაჭერი, გამოვაბი წერილი მკედი და წყალ-  
ში გადავაგდე.

ერქენსუნი  
ხიზლირთეკა

დაინახეს თუ არა საჭმელი, იხვები მაშინვე ქონთან მიცურდენ.  
ერთმა იხვმა ხარბად გადასანსლა ის, მაგრამ ქონი სრიალა იყო, უცებ  
გაიარა წელეებში და უკან გავიდა. ამ ქონს ახლა მეორე იხვი ეცა და მა-  
საც იგივე მოუვიდა. იხვები ერთიმეორეზე სანსლაედენ ქონს, და მკედ-  
ზე მალე აეცვა უთვალავი იხვი.



წარმოიდგინეთ, რა გახარებული ვიქნებოდი!  
მეტი რალა მინდოდა, უნდა წამელო ნანადირევი და მზარეულისათვის  
გადამეცა. მაგრამ აჟღენი იხვის თრევა ადვილი საჭმე კი არ არის.  
გადავდგი თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, საშინლად დავიქანცე. უცებ —  
წარმოგიდგენიათ ჩემი გაკვირება? იხვები აფრინდენ და მეც ჰაერში  
ამიტაცეს!  
ჩემ ადგილას სხვა დაიბნეოდა, მაგრამ მე გულადი და მოსაზრებული  
კაცი ვარ.  
მე საჭე გავაკეთე ჩემი ტუტურკიდან, და იხვები ჩემ ნებაზე მიფრი-  
ნავდენ. მალე მივალწიეთ ჩემ სახლამდის.

მაგრამ როგორ დავეშვა ძირს? როგორ და უბრალოდ. მე ხომ მოსაზრებული კაცი ვარ — რამდენიმე იხვს კისერი მოვუგრიხე და ძირს დავეშვი.



მე სწორედ ჩემი სამზარეულოს საკვამლე მიღში ჩავეარდი. ოჰ, როგორ გაოცდა ჩემი მზარეული, მის წინ რომ ამოვყავი თავი პლიტაზე.

კიდევ კარგი, რომ მას ცეცხლი ჯერ არ დაენტო.

## ბ რ მ ა ლ ო რ ი .

ეჰ, რა არ გადამხედნია თავს!

მიედივარ ერთხელ უღრან ტყეში და ვხედავ: მორბის გარეული გოჭი, სულ პატარა გოჭი, მას კი დიდი ღორი მოჰყვება.

ვესროლე, მაგრამ ვაი რომ დავაცილე!

ტყვიამ სწორედ გოჭსა და ღორს შუა გაირბინა.

გოჭმა დაიჭყვირა და ტყეში მიიმალა, ღორი კი გაქვავებულივით იდგა.

გავოცდი: რატომ არ გამირბის, მეტეჰი? მაგრამ ახლოს რომ მივედი, მაშინ ყველაფერს მივხვდი.



ღორი ბრმა იყო და გზის გაგნება არ შეეძლო. მას თავისი გოჭის კული ეჭირა პირში და ისე დადიოდა ტყე-ტყე.

ჩემ ტყვიას სწორედ კული წაეწყვიტა გოჭისათვის. გოჭი გაიქცა, ღორი კი მარტო დარჩა და არ იცოდა საით წასულიყო. საცოდავად იდგა და პირში ეჭირა გოჭის კულის ნაგლეჯი.

მშვენიერი აზრი დამებადა. წავაელე ხელი კულს და გავუძეხი ღორს პირდაპირ ჩემი სამზარეულოსაკენ. ღორს ეგონა გოჭს მივყავარო და წყნარად მომყვებოდა.

დიახ, დიახ, ძალიან კარგია, როდესაც ადამიანი მოსაზრებულია.



მიედივარ ერთხელ ტყე-ტყე და ვკამ ჩემთვის მწიფე ალუბლებს უკლებ  
 უცებ ირემს შევევფეთე. ლამაზი, კობტა რამ იყო, უხარმანა  
 ჰქონდა...



მე კი, საუბედუროდ, ერთი ტყვიაც აღარ დამრჩა.  
 დგას მშვილად ირემი და არხეინად მომჩერებია, თითქოს იცის. რომ  
 ჩემი თოფი გაუტენელია.



მე კიდევ მქონდა რამდენიმე ალუბალი და თოფი მისი კურკებით გავტენე.

ჰო, ჰო, რას იცინით, ალუბლის კურკით გავტენე.

გავარდა თიფი, მაგრამ ირემმა თავი გაიქნია და ტყეში მიიშალა. კურკა შიგ შულღში მოხვდა, მაგრამ ვერაფერი დააკლო.

ძალიან მეწყინა, ასეთი შესანიშნავი ნადირი რომ წამივიდა.

ერთი წლის შემდეგ იმავე ტყეში ვნადირობდი. ალუბლის კურკის ამბავი სულ გადამავიწყდა. აბა ერთი ნახე, როგორ გავოცდი, ჩემ წინ რომ გამოხტა უზარმაზარი მშვენიერი ირემი, რომელსაც რქებს შუა ვე- ებერთელა ალუბლის ხე ამოსვლოდა. ოხ, რა კარგი იყო ეს ირემი, კოხ- ტა ირემი და კოხტა ხე! მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს ხე იმ კურკიდან ამოვიდა, შარშან რომ ვესროლე. ახლა კი ბევრი ვახნა მქონდა, გამო- ვუმიზნე ირემს და იქვე გავაგორე. ამრიგად ერთი სროლით ვიშოვნე სა- მწვადეც და ხილიც, ვინაიდან აუარებელი ალუბალი ესხა.

ასეთი გემრიელი ალუბალი ჩემ სიცოცხლეში არ მიჭამია...

გადმოკეთებული ნ. ქაჩიაშვილის მიერ.

### ა ბ ა თ უ ი ც ი

#### სადა უდიდესი ტყე, რომელიც მუხლამდის ძლივს მოგწვდება?

შორს, ძალიან შორს, პოლარულ წრესთან. იქ ტირიფები იზრდება არა მალა, არამედ მიწის ზედაპირის გასწვრივ, ბარდის მსგავსად, და ასეც ეძახიან მათ — გაბარდნილი ტირიფები.

#### რომელი მზეცია, რომელსაც სხეულზე ორი მეტრით მეტი კბილი აქვს?

არის ასეთი საკვირველება. ის პოლარულ ზღვებში ცხოვრობს. ერთი შეხედვით თევზი გეგონება, მაგრამ დაუკვირდები და დარწმუნდებ- ბი, რომ თევზი არაა. თევზისებური ქერქლი არა აქვს, არც ლაყურები, თავი კიდევ თევზს არ მიუგავს. ამ მზეცის სახელწოდებაა ნარვალის კბი- ლები მას ძალზე ცოტა აქვს, რაც აქვს, ისიც წვრილები და უსწორმას- წორონი. ამხელა კბილი ვერცერთი ცხოველის პირში ვერ დაეტევა.

თვითონ ნარვალის ერთი მეტრია სიგრძით, ხოლო კბილი კი ორი მეტრი აქვს. ნარვალის ჯიშისაა დელფინი, რომელიც შავ ზღვაში უხვად მოიპოვება.

#### რომელი დათვია, რომელსაც არახოდეს ხე არ უნახავს?

დათვები ხომ ხეებზე კარგად დაბობლავენ განსაკუთრებით დათვის ბელები. ბებერ დათვენს კი, რა თქმა უნდა, უძნელდებათ ხეებზე ასვლა. აი არის ისეთი დათვი, რომელსაც ხე არასოდეს არ უნახავს და მასზე არც უფოფხავს. იგი ხეს ვერც ნახავს, თუ არ დაიჭირეს და სამშობლო- დან იმ ადგილებში არ ჩამოიყვანეს, სადაც ხე ხარობს. ასეთია თეთრი დათვი. იქ, სადაც იგი ცხოვრობს, ხეები არ არის — ხე არ იზრდება არქტიკაში. სამაგიეროდ ასეთი დათვები თავისუფლად დასცურავენ პო- ლარულ ზღვებში დადიან ყინულის ვეებერთელა მონატენებზე. იქ სა- სადაც ისინი ცხოვრობენ, ძალიან ცივა. ფეხის გულები დაფარული აქვთ სქელი ბანლით, რომელიც იცავს მათ ყინვებისაგან.

რომელი ფრინველია, რომელიც ბუდისათვის ბუმბულს სხვანაირად აკრებს.

ფრინველები თავის ბუდეებს შიგნით ბუმბულს უფენენ ხოლო ერთნი ასეთ ბუდეებში თბილად და რბილად გრძობენ თავს. ბუმბულის ქებნა შორ ადგილებში უხდებათ: ტყეებსა და ქაობებში ბუმბულს ხომ იშვიათად იპოვით. არის ჩრდილოეთის ერთერთი ფრინველი, სახელად სუსხურა. მას ბუდეში აუარებელი ბუმბული უფენია, ხოლო ბუმბულის საძებნელად ერთხელაც არსად გაფრინდება იგი. მას იძრობს თავისი



სხეულიდან. რაც მეტი აქვს სუსხურას ბუმბული, მით მეტი უფენია ბუდეში. მოუშლიან სუსხურას ბუდეს, — ის კვლავ აიშენებს, ამოიძრობს თივითიკივით რბილ ბუმბულს და ბუდეს გაირბილებს. ხანდახან იგი სულ გაშიშვლებული და გაპუტულია: ბუმბული სულ ამოძრობილი და ბუდეში ჩაგებული აქვს. თუ არ ეყოფა სუსხურას საკუთარი თივითიკოვანი ბუმბული, მოსძებნის ხოლმე თავის ტოლ მამალ სუსხურას და მას წასწიწნის. ამ ბუმბულს აგროვებენ ადამიანები და ყიდიან. ის ყველაზე ძვირფასი რბილი და თბილი ბუმბულია.

**რომელი ბაზარია, სადაც გარდა ფრინველებისა, არაფერი არ იყიდება?**

ეს ბაზარი შორსაა, ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში. მაღალი კლდეები, რომელნიც ზღვიდან არიან ამოზიდული, სულ ფრინველებითაა ავსებული. იქ იმდენი ფრინველია, რომ მათი აფრენისას არც ცა, არც მზე აღარ ჩანს და პირდაპირ ბურანი დგება ხოლმე. მათ ვივილ-ხივილს ძალიან შორს გაიგონებთ. ფრინველის ბაზარზე წახავთ უამრავ სხვადასხვანაირ ფრინველს. ამ ბაზარზე დიდი სიციწროვეა. ბუდეების გვერდით ბუდეებია ჩამწკრივებული, ფრინველის ირგვლივ სხვანაირი ფრინველი.

ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში კლდეები ნაკლებია, ხოლო ფრინველი უამრავი. ამიტომაც რომ სიციწროვეა. ასეთ ბაზარებზე მოიპოვება სხვადასხვაგვარი ფრინველის უამრავი კვერცხი, რომელიც ზღვიდან ქალაქებში შემოაქვთ.


**რომელი მხეცია, რომელიც ყველაფერს ყლაპავს. რაც კი მოხვდება.** ჩრდილოეთის თეთრი მელა ყველა მხეცებზე უფრო გაიძვერა, მოხერხებული და ცბიერია. ზაფხულობით ცოტა რუხი ფერისაა, ზამთრო-

ბით კი თეთრი, როგორც თოვლი. მხოლოდ ცხვირი და თვალები აქვს შავი. ყველაფერს ქამს.

შორეულ არქტიკაში მგზავრები თეთრი მელიებით თავმოებნებიან. ლები არიან. რასაც კი გვერდზე მოინაცვლებ, ყველაფერს თვალსა და ხელს შუა გააჭრობენ. იპარავენ: ქუდებს, ჯოხებს და დანებსაც კი.

ერთი მგზავრი დაწვა თოვლზე. როცა დაწვა, ქუდიც ეხურა და თბილი ხელთათმანებიც ეცვა. გაიღვიძა და არცერთი აღარ ჰქონდა: თეთრმა მელიებმა ასცანცლეს. ტყავიც კი მოჰპარეს, ის ტყავი, რომელიც ქვეშ ჰქონდა ამოგებული და ზედ ეძინა.

გამოჩენილ პოლარულ მკვლევარს ნანსენს ამ მელიებმა მოჰპარეს მათელი, ლერწმის ნაჭრები, მრავალფერი ქვების კოლექცია, კოჭა ძაფი, და რომ აღარაფერი იყო წასაღები, თერმომეტრი ნახეს და ისიც მოიპარეს.



ეს იყო წინათ, მაგრამ ახლაც იმ ადგილებში, სადაც ადამიანის უფხი ნაკლებია და თეთრ მელიებს არ სდევნიან, ისინი კვლავ ასეთი თამაში ქურდბაცაცები არიან, ღამ-ღამობით პირდაპირ სადგომებში მიძვრებიან და რათაც არ უნდა დაუჯდესთ, რაღაცას მაინც გააცოცებენ.

### **რომელი მხეცია, რომელსაც ყურზე ხელს ვერ წაავლებ.**

ალბათ, პატარა მკითხველო, შენ ყველა მხეცებს დაასახელებ: ეფებეს, ლომს, მგელს, დათვს და, ვინ იცის, რამდენ რამეს. მართლაც, ასეთი მხეცებისთვის თუ ყურზე ხელის წაწელება მოინდომე, ან შეგკამენ, გიკბენენ, ან არა და მაინც ვერ შესწვდები ყურამდის.

აბა მოინდომე ფირაფისთვის ყურზე ხელის წაწელება. კიბე უნდა მიიღგა, რომ მისწვდე, და განა ფირაფი მოგიცდის? მაგრამ საქმე ამაში



როდია. ყოველგვარი მხეცის ყურზე შეიძლება ხელის მოკიდება, თუ იგი მოშინაურებულია, დამორჩილებული. მაგრამ აი არის ზღვის ძაღლის ერთი ჯიში, რომელსაც ყური სრულებით არ გააჩნია. თავი მთლიანად




გადასრიალებული და უბალნო აქვს. ამა სინჯე და წაავლე ხელი ყურზე, — რას წაავლებ, როცა არ გააჩნია, აქვს მხოლოდ პატარა ნახვრეტი, ყურისმაგვარი.

რ — ს.

## გამოჭერი.

ხატვა იცი? იცი, რასაკვირველია. მაგრამ შენ ფანჭრით ან მელნით ხატავ, ხომ?



ახლა სინჯე, მაგრატლით ხატვა.

აი ოთხკუთხედი ქალალდი, გაკეცე ორად, დახატე რაიმე ფიგურის



ნახევარი, შემოჭერი მაგრატილით, გაშალე ქალაღი და მთელი ფიგურა გამოგევა.



შეიძლება ქალაღი ოთხად გაიკეცოს, რვად, — როგორც გინდა. ისეთი უცნაური ფიგურები გამოგევა, რომ სწორედ გაცდები. დააკვირდი აქ დახატულ სურათს, გამოჭერი და ყორეზე შემომსხდარი მტრედები გამოგევა, ძალიან საინტერესოა, სინჯე.

შ. თ.

## ჩვენი ჟურნალის გეითხველავს

რედაქცია სერიოზულ ყურადღებას აქცევს ჟურნალ ოქტომბრელის კარგი თვისებით გამოსვლას, ამიტომ თითოეულ ნომერს შემდეგ ნაირად ვამზადებთ: რედაქციაში მოღიან მწერლები. მათ მოაქვთ მოთხრობები, ლექსები, პიესები, გასართობები და სხვა მასალები. ასე თანდათან გროვდება ჟურნალის მასალები. ზოგი დაწერილია სუფთად, ზოგს კიდევ გადავწერთ ღამაზად და ასე დამზადდება მთელი ნომრის მასალა. მაგრამ ამით არ ამოიწურება ჟურნალის დამზადება.

ჩვენს რედაქციას დამოკიდებულება აქვს ტფილისის სხვადასხვა შრომის სკოლებში არსებულ მკითხველთა სალიტერატურო წრეებთან. ამ წრეებში იკითხება გამზადებული მასალები. ნორჩი მკითხველები თითოეულ მასალის შესახებ გამოთქვამენ თავიანთ აზრს. ხშირად მათი აზრი საყურადღებოა. რედაქციის წარმომადგენელი შენიშვნებს იწერს და შემდეგ ზოგიერთ მასალებში ხდება ცოტაოდენი შეცვლა შესწორება.

ბოლოს ჟურნალი გადაეცემა სტამბას, იბეჭდება და მოდის თქვენთან.

ჟურნალი კიდევ უფრო კარგი თვისების რომ გამოვიდეს, ამიტომ სხვა მკითხველთა აზრიც საინტერესოა. თქვენც სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის ოქტომბრელებო შეგიძლიათ

მოიწეროთ რედაქციაში იმ ნაკლსა და დადებით მხარეებზე/ რომელიც ჩვენს ჟურნალს აქვს.

ჟურნალ ოქტომბრელთან ჩვენო პატარა მკითხველს შეგიძლიათ წაიკითხოთ სხვა საბავშვო წიგნებიც, რომლებშიც საინტერესო ამბებია მოთხრობილი, წასაკითხ ამბებთან თქვენთვის საინტერესოა აგრეთვე წიგნის დასურათებაც, ე. ი. ცოცხალი და გასაგები სურათები. ამ მხრივ დაზღვეულია ჩვენი საბავშვო წიგნები. საბავშვო წიგნებზე მუშაობენ ჩვენი ნიჭიერი მხატვრები: ელენე ახვლედიანი, თამარა აბაკელია, გრძელიშვილი თევზაძე, შტენბერგი, ჩერნიშკოვი და სხვები, დიდი მუშაობა მიუძღვის აგრეთვე საბავშვო წიგნზე შ. ძნელაძეს (გარდაიცვალა). წიგნები, რომლებიც ამ მხატვრების მიერ დასურათებულია უკვე გამოვიდა, ეს წიგნებია: როზა ჩაფარი, — ილო მოსაშვილის, ალისფერი ყელსახვევი, — ალიო მაშაშვილის და ირაკლი აბაშიძის. ჩემი ძმა, — გიორგი კაჭახიძის, ჩაის გმირი, — ცვარნაძის, ისლიანი სახლები, — ლავრენტი ჭიჭინაძის, შავი ქვა, — ლევან ასათიანის, სამი ბიჭის ამბავი, — როდიონ ჭორჭიასი. ამ წიგნებში თქვენ გაეცნობით თანამედროვე ცხოვრების ამბებს და წარსულ ცხოვრების ბნელ მხარეებსაც. შეგიძლიათ წარმოიკვიროთ წარსულში, როგორ მდგომარეობაში იყო მუშა და გლეხი ე. ი. დაბალი ფენა საზოგადოებისა, როგორ ებრძოდა ეს დაბალი ფენა მაშინდელ ხელისუფლებას (მაგ. „ისლიანი სახლები“ — ში აფრასიონ მერკვილაძის ბრძოლა მეფის მთავრობის სასტიკ რეჟიმთან. „შავი ქვის ამბავი“ — ში მუშათა კლასის თანდათანობით გაძლიერება და სხვა). როგორ გაიმარჯვა დაჩაგრულმა ნაწილმა საზოგადოებისამ და დღეს როგორ ვაშენებთ საბჭოთა ქვეყანას.

აი მოკლეთ ყველაფერი ეს აღწერილია ზემოთ დასახელებულ წიგნებში.

## მოსწრებული პასუხი

ივანემ ნესტორს მშვიდობა ჰკითხა:

— როგორ ხარო?

ნესტორმა მიუგო:

— არც ისე ვარ მე, რომ მინდა, მაგრამ არც ისე ვარ, შენ რომ გინდაო.



საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათ-  
ლების სახალხო კომისარიატის ურველთვიური ჟურნალი  
გავითათვის

## „ოქტომბრელი“

---

ჟურნალ „ოქტომბრელი“-ს ურველ ნომერში იბეჭდება სან-  
ტერესო ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები და  
განსართობები.

---

ურველმა ოქტომბრელმა უნდა გამოიწეროს და წაიკით-  
ხოს ჟურნალი

## „ოქტომბრელი“

ჟურნ. „ოქტომბრელი“-ს რედაქცია.